საქართველოს მთავრობა

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ საქართველოს ორგანული კანონის პროექტს - „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონების პროექტებს: „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მათ დაჩქარებული წესით განხილვას.

აღნიშნულ კანონპროექტებზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე - ირაკლი

ნადარეიშვილი, ხოლო საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლებად ასევე დანიშნულნი არიან: საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი - პაპუნა ლეჟავა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის უფროსი - გიორგი გურგენიძე.

დანართი: 3 გვ. - საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დასაბუთება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

N28084
31.08.2022